პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) მენინგრადული კომუნისტის, თბილისის კომუნისტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYAŠČIHSJA GRUZINSKOJ SSR

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 14 მაისი, 1949 წ. № 95 (8398). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
40 წელი ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოქვეყნებიდან (მე-2 გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
ოქრდენები და მედლები გადაეცათ ფინანსურის ტექნიკურების საბჭოთა მეურნეობის მუშაკებსა და კახეთის რაიონების სკოლების მასწავლებლებს (მე-2 გვერდი).
სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით (მე-3 გვერდი).
რუსთავის მშენებლებზე (მე-3 გვერდი).
ლაგოდეხელ მეთამბაქოეებთან (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი ადგენ შეუნელებელ მზრუნველობას იძლევენ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების განუხრელი ამაღლებისათვის. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საბჭოთა ხალხი პირველი სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის იბრძოდა, ამხანაგმა სტალინმა სამეურნეო მუშაკების თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „საჭიროა ამის შეგნება, რომ მუშათა არსებობის პირობები ჩვენში ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა მუშა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. ახლანდელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას, სურს ისე იცხოვროს, რომ დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი სურსათის მომარაგების მხრივაც, ბინის მხრივაც, კულტურული და სხვა ყოველგვარი მოთხოვნილების უზრუნველყოფის მხრივაც. მას აქვს ამის უფლება, და ჩვენ ვალდებული ვართ უზრუნველყოთ მისთვის ეს პირობები“.

ხალხთა გენიალური ბელადის ამ მითითებით ხელმძღვანელობენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციები. მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი მზარდი მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისათვის განუზომლად ბევრი რამ გაკეთდა ომამდელ ტალინურ ხუთწლედებში. მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-მატერიალური კეთილდღეობისათვის ზრუნვა არ შეწყვეტილა დიდი სამამულო ომის წლებშიც. ეს ზრუნვა კიდევ უფრო გაძლიერდა ომის შემდეგ. „საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების პრინციპული განსხვავება კაპიტალისტურისგან იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტური სახელმწიფოს მთელი საქმიანობის მიზანია მშრომელების კულტურულ და მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა“ (კ. ჩარკვიანი).

მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო ფულის რეფორმის განხორციელება, სბერკასო სისტემის გაუქმება და ერთიანი შემცირებული ფასებით ფართოდ გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა, რაც ომის შემდგომი ხუთწლედის მეორე წლის დასასრულს განხორციელდა.

მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისაკენ იყო მიმართული სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასების მორიგი შემცირება ომდინარე წლის პირველი მარტიდან.

მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო ფულის რეფორმის განხორციელება, სბერკასო სისტემის გაუქმება და ერთიანი შემცირებული ფასებით ფართოდ გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა, რაც ომის შემდეგომი ხუთწლედის მეორე წლის დასასრულს განხორციელდა.

„ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საბჭოთა ხალხი პირველი სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის იბრძოდა, ამხანაგმა სტალინმა სამეურნეო მუშაკების თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „საჭიროა ამის შეგნება, რომ მუშათა არსებობის პირობები ჩვენში ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა მუშა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. ახლანდელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას, სურს ისე იცხოვროს, რომ დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი სურსათის მომარაგების მხრივაც, ბინის მხრივაც, კულტურული და სხვა ყოველგვარი მოთხოვნილების უზრუნველყოფის მხრივაც. მას აქვს ამის უფლება, და ჩვენ ვალდებული ვართ უზრუნველყოთ მისთვის ეს პირობები“.

ხალხთა გენიალური ბელადის ამ მითითებით ხელმძღვანელობენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციები. მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი მზარდი მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისათვის განუზომლად ბევრი რამ გაკეთდა ომამდელ ტალინურ ხუთწლედებში. მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-მატერიალური კეთილდღეობისათვის ზრუნვა არ შეწყვეტილა დიდი სამამულო ომის წლებშიც. ეს ზრუნვა კიდევ უფრო გაძლიერდა ომის შემდეგ. „საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების პრინციპული განსხვავება კაპიტალისტურისგან იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტური სახელმწიფოს მთელი საქმიანობის მიზანია მშრომელების კულტურულ და მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა“ (კ. ჩარკვიანი).

მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო ფულის რეფორმის განხორციელება, სბერკასო სისტემის გაუქმება და ერთიანი შემცირებული ფასებით ფართოდ გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა, რაც ომის შემდეგომ ხუთწლედის მეორე წლის დასასრულს განხორციელდა.

ომ მიზნით, რომ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა უკეთ განახორციელონ პარტიისა და ხელისუფლების მიერ მათთვის დაკისრებული ამოცანა მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში, ამ ორი წლის წინათ განახლდა საწარმოს ადმინისტრაციასა და საკარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს შორის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება, რომელთა განხორციელებას სისტემატურ კონტროლს უწევენ პროფესიული ორგანიზაციები.

მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, კამეოლ-მაუდის ფაბრიკაში, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში, კასპის ცემენტის ქარხნასა და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექციამ პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების აქტიური ხელშეწყობით ააგო და საქმესპლოატაციოდ გადასცა სანიმუშოდ მოწყობილი კულტურის სახლი, მოაწყო პროფილაქტორიუმი, აწყობს ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს. ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველომ მოკლე დროში ააგო სამსართულიანი მუშათა საცხოვრებელი სახლი, შეაკეთა წითელი კუთხე. კამეოლ-მაუდის ფაბრიკის დირექციამ ტახანოგველებსა და სამამულო ომის ინვალიდებს შეუკეთა ასი ბინა, ასზე მეტი მუშა გაგზავნა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. კასპის ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელობამ მარტო შარშან უზრუნველყო 1.300 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საეკსპლოატაციოდ გადაცემა.

მსგავსი მაგალითები უამრავია, მაგრამ ყველა საწარმოს ხელმძღვანელი და პროფესიული ორგანიზაცია ერთნაირი პასუხისმგებლობით როდი ეპყრობა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში, ნავთსაძიებო სამუშაოებზე, მთელ რიგ მშენებლობებზე როგორც სამეურნეო ხელმძღვანელები, ისე პროფესიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ იმ ვალდებულებათა შესრულებისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების დარგში, რაც კოლექტიური ხელშეკრულებებით არის განსაზღვრული.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების X საკავშირო ყრილობამ, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საკითხს. ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, პროფესიულ ორგანიზაციებს ავალებს კიდევ უფრო გააძლიერონ ყურადღება მუშა-მოსამსახურეთა მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, იბრძოლონ მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის პროფესიული ორგანიზაციების ღირსების საქმეა სასახელოდ განახორციელონ X ყრილობის ეს მითითება.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★ ★

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა 10 მაისისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა.

თესვა გრძელდება.

ხირსის საბჭოთა მეურნეობა მეორე ადგილზეა

ხირსა. (საკ. კორ.). ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსაგან ამ დღეებში მიიღო დაჯილდოება, რომელიც ნათქვამია, რომ 1948 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით მევენახეობის ხირსის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა მეორე ადგილი დაიკავა. საბჭოთა მეურნეობას მიეკუთვნა მეორე პრემია 21.500 მანეთი.

შეჯიბრებაში გამარჯვებული ხირსელები ახალი ძალით შეუდგნენ მუშაობას ყურძნის უზეი მოსავლის მისაღებად.

ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები

სიღნაღი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის მარტო წელს მიღებულია 492 გუთანი, 172 ტრიერი, 170 სათიბი მანქანა, 100 კულტივატორი, 154 სილოსის საკრელი, 30 სათესი მანქანა, 95 ხორბლის შესაწამლი, 330 ვენახის შესაწამლი, 3 ინკუბატორი, 2 სალეწი მანქანა, 60 ცალი ძირხვენის საკრელი, 20 კარაქის დამამზადებელი და მრავალი სახის სხვა იარაღ-მანქანები.

„საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადა“

თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის მკერავთა ბრიგადას, რომელსაც ოსტატი ა. შაბაზოვი ხელძღვანელობს, სსრ კავშირის ტყავისა და ფეხსაცმლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით მიენიჭა „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის“ სახელწოდება, დაჯილდოებულ იქნა ქების სიგელით და ფულადი პრემიით.

საკოლმეურნეო რადიოკვანძები

ხაშური. (საკ. კორ.). ქვემხეთის საოფლო საბჭოში სწრაფი ტემპით ეწყობა საკოლმეურნეო რადიოკვანძი, რომელიც მომსახურებას გაუწევს საბჭოში შემავალ შვიდ სოფელს.

რადიოკვანძიხთვის შერჩეულია შესაფერისი ბინა და დაწყებულია აპარატურის მონტაჟი.

რადიოკვანძის მოწყობაში აქტიურად მონაწილეობენ კოლმეურნეები და სასოფლო საბჭოს აქტივი.

* * *

ზუგდიდი. (საკ. კორ.). წელს რაიონის 20 კოლმეურნეობაში მოეწყობა რადიოკვანძი. კოლმეურნეთა ოჯახებში დაიდგმება მიმღები აპარატები.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მეშახტეები

ტყიბული. (საკ. კორ.). აპრილში პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში ჩაბმულმა მნგრეველებმა და მებიგეებმა სასახელოდ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ლენინის სახელობის შახტის სტახანოველმა მნგრეველმა გ. გოდერიძე ქვანახშირის მონგრევის ორნახევარი თვის დავალება შეასრულა და პირველობა მოიპოვა შახტის მნგრეველთა შორის. მებიგეებში ყველას გაუსწრო დ. ცინცაძემ, რომელმაც გეგმის გადამეტებით 69 ჩარჩო ჩადგა და აპრილის დავალება 192 პროცენტით გაანღდა.

სტალინის სახელობის შახტში მნგრეველთა შორის პირველ ადგილზეა ა. ღვინეფაძე, მებიგეებს შორის ვ. ბონდარენკო. პირველმა გეგმა შეასრულა 190 პროცენტით, მეორემ—170 პროცენტით.

ექვსი თვის განმავლობაში სტახანოვური მუშაობისათვის შახტის სპპატონ წიგნში შეტანილ იქნა 8 მეშახტე: მნგრეველები თ. ნანიკაშვილი, პ. შენგელია, მებიგე ვ. ბონდარენკო და სხვები.

მოლოტოვის სახელობის შახტში მნგრეველებს შორის კარგ საწარმოო შედეგებს მიაღწია მნგრეველმა გ. გვენეტაძემ, რომელმაც თვენახევრის გეგმას 5 პროცენტით გადააჭარბა. მებიგეებს შორის გაიმარჯვა ივ. ხაჯინოვმა.

დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთში მზიანი, თბილი ამინდი დადგა. ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია დაიწყო. აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 10 მაისს შეუდგნენ ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფას. სამ დღეში აქ მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკას ჩაბარეს 1.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ჩაის ფოთლის კრეფაში თავი ისახელეს შურა ჭკადუამ, ეუფა ბულისკერიამ, ანა სკლიაროვამ, ალექსანდრა დობრინინამ. ისინი ყოველდღიურად 15-20 კილოგრამ ჩაის ფოთოლს აწყვეტენ. მეურნეობის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ წელს სახელმწიფოს ჩაბაროს 1.200 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 960 ტონისა.

ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფას შეუდგნენ სოფელ ოქუმის ლენინის, ცხიროგალის ბაქრაძის, საბერიოს ორჯონიკიძისა და ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობები. ამ კოლმეურნეობებში ყოველდღიურად კრეფენ 200-250 კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

* * *

ზუგდიდის რაიონის ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 12 მაისს დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის შერჩევითი კრეფა. პირველ ღღეს ჩაის ფაბრიკას ჩაბარდა 1.592 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ი. თოდუა
ნარაზენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

გაჩაღდა შაქრის ჭარხლის ნათესების გაფხვიერება

სტალინირი. (საკ. კორ.). უკანასკნელად დამდგარმა ხელსაყრელმა ამინდებმა ხელი შეუწყო შაქრის ჭარხლის ნათესების კარგად განვითარებას.

სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა უკვე შეუდგა ჭარხლის ნათესების გაფხვიერებას. თამარაშენელ მეჭარხლეებს ვალდებულება აქვთ აღებული 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 800 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო 14 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 600 ცენტნერი.

ნათესების გაფხვიერებაზე განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ კოლმეურნეობის მოწინავე მეჭარხლეები ა. გოგიძე, ე. თეგაშვილი, შ. ნასუაშვილი, ე. ხეთერელი და სხვ.

შაქრის ჭარხლის ნათესების გაფხვიერებას მალე მასობრივად შეუდგებიან ოლქის სხვა კოლმეურნეობებშიც.

პოლიტსკოლების გამოშვება

ლაგოდეხი. (სპეც. კორ.). პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წელი მთავრდება. რაიონში შექმნილი იყო 43 პოლიტსკოლა. მათი გამოშვება მაისის პირველი რიცხვებიდან დაიწყო. 11 მაისისათვის მუშაობა დაამთავრა 16 პოლიტსკოლამ.

სოფელ კალინოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პოლიტსკოლაში 21 მსმენელი მეცადინეობდა. გამოსაშვებმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მსმენელთა უმრავლესობა კარგად მომზადებული აღმოჩნდა. ფრიადი შეფასება მიიღეს ლენინის ორდენოსანმა გ. ტურიაშვილმა, მარიამ ვოვოდამ, მ. პალაგინმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ციმოვიჩმა და სხვებმა.

ნაყოფიერად მუშაობდა სოფელ შრომის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის პოლიტსკოლა. ფრიადზე სკოლა დაამთავრა 11 კაცმა. მათ შორის არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი გ. ნატროშვილი, ა. გოშაძე, ნ. ნადაშვილი, კოლმეურნე მარიამ ბესაშვილი, ბრიგადირი ე. გოგრიჭიანი და სხვ.

კარგი შედეგებით დაამთავრეს სასწავლო წელი ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის, ლაგოდეხის მტს-ის პოლიტსკოლებმა. ნაყოფიერად იმუშავა ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლასთან არსებულმა პოლიტსკოლამაც.

რაიონში შექმნილი იყო ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 3 წრე, რომლებშიც მეცადინეობდა 92 კაცი. ერთმა წრემ უკვე დაამთავრა მუშაობა.

ი. ბ. სტალინის მონუმენტი

გურჯაანი. (საკ. კორ.). საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ ქალაქის ცენტრში დადგა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის მონუმენტი. მონუმენტის სიმაღლე 7,5 მეტრია. მონუმენტის ირგვლივ მოეწყო სკვერი.

ყველაზე მონინავე 38 ფერმიდან

ამ დღეებში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, შეაჯამა ქალაქის საწარმო-დაწესებულებებთან არსებულ დამხმარე მეურნეობათა მეცხოველეობის ფერმების მუშაობა. 38 ფერმას შორის აღმასკომმა ყველაზე მოწინავედ ცნო და საქალაქო გარდამავალი წითელი დროშა გადასცა დიმიტროვის სახელობის ქარხნის დამხმარე მეურნეობას. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მეურნეობამ (დირექტორი გ. ბარამიძე, უფროსი ზოოტექნიკოსი მ. კარალვი, ვეტექიმი კ. უფლისაშვილი) წლის მანძილზე ერთთიორად გაადიდა მეცხოველეობის სულადობა და პროდუქტიულობა, მთლიანად შეინარჩუნა ნამატი. ახლა ფერმაში 165 სული მსხვილფეხა პირუტყვია, ხოლო ცალკეული ძროხების წლიური წველადობა აყვანილია 3.000 ლიტრამდე, ამასთანავე გამოზრდილია 50 ხბო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 სულისა.

დროშის მიღებასთან დაკავშირებით მეურნეობის მუშაკთა შორის ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

საკოლმეურნეო ელექტროსადგურები

მაიაკოვსკი. (სპეც. კორ.). სოფელ ხაში დამთავრდა 25-ცხენისძალიანი ელექტროსადგურის მშენებლობა. ამ ქამად სწრაფი ტემპით მთავრდება საპაკარო ქსელს. კოლმეურნეები უახლოეს დღეებში მიიღებენ ელექტროდენს.

სოფელ საკრაულას კოლმეურნეობა „კომუნისაკენ“ მდინარე საკრაულაზე აშენებს 86-ცხენისძალიანს ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც სინათლეს მიაწოდებს 360 საკოლმეურნეო ოჯახს.

ახალი სასტუმრო

ზემო სვანეთი. (საკ. კორ.). დამთავრდა რაიონის ცენტრში სასტუმროს ორსართულიანი ქვიტკირის შენობის აგება. ახალი სასტუმრო 30-საწოლიანია. ქვედა სართულში მოთავსებულია სასადილო და ორი მაღაზია.

სასტუმროს მიდამო დამშვენებულია დეკორაციული მცენარეებით. სასტუმროს წინ, პარკში აღმართულია დიდი სტალინის მონუმენტი.

საინტერესო ლექცია

ამ დღეებში ადიგენის პარტიული კაბინეტის სხდომათა დარბაზში აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორმა, ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერების დოქტორმა ფ. ხარაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე „სამყაროს აგებულება“. ლექცია ილუსტრირებული იყო კინოსურათებით.

ლექციას ორასზე მეტი კაცი დაესწრო.

სოციალისტური შრომის გმირები

ხ. მ. სურმანიძე
ხულოს რაიონის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქოს მოსავლისათვის.

ქ. ს. ჩხეიძე
ქედის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მოლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გაზრდის 26,5 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

პ. მ. ფულაია
ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 64,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 89,4 ცენტნერი სიმინდის მოსავლისათვის

ე. ს. ბიურეკიანი
სოხუმის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 18 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოსავლისათვის.

ჯ. ლ. ხარბედია
ზუგდიდის რაიონის ვეკეკორის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 71 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 88,2 ცენტნერი სიმინდის მოსავლისათვის.

ა. ვ. კირიაკი
ბაგრის რაიონის კუბისშევის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19,5 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოსავლისათვის.

40 წელი ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოქვეყნებიდან

ვ. ი. ლენინის გენიალური ფილოსოფიური ნაწარმოები

ლენინისა და სტალინის შრომებმა ყოველმხრივ მომამზადეს ბოლშევიკების პარტია—ჩვენი ეპოქის სინდისი, გონება და პატიოსნება. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომლის გამოქვეყნების 40 წლისთავსაც ჩვენ აღვნიშნავთ, გახდა ახალი ტიპის პარტიის მომზადების თეორიული საფუძველი. ლენინის წიგნის გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური პარტიისათვის. იგი წარმოადგენს ახალ, მაღალ საფეხურს მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებაში.

ლენინმა თავის გენიალურ ფილოსოფიურ ნაშრომში ბრწყინვალედ დაიცვა მარქსიზმის თეორიული საფუძვლები—დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი და მოგვცა მატერიალისტური განზოგადება ყოველივე მნიშვნელოვანისა და არსებითისა, რაც მეცნიერებას შეუძლია ენგელსის გარდაცვალებიდან „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოქვეყნებამდე.

ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ წარმოადგენს ბოლშევიკური პარტიულობისა და პრინციპულობის ბრწყინვალე ნიმუშს. ის წარმოადგენს იმის მკაფიო მაგალითს, თუ როგორ უნდა ბრძოლა მარქსიზმის აშკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ. ლენინმა დაუნდობლად ამხილა მახისტებისა და მათი რუსი მოწაფეების ცდები დამდგარიყვნენ პარტიების გარეშე ფილოსოფიაში, შეექმნათ რაღაც „ნეიტრალური“ ფილოსოფია, რომელიც მატერიალიზმსა და იდეალიზმზე მაღლა იდგომებოდა. ლენინმა დაამტკიცა, რომ მახისტების მისწრაფება — შეჰქმნან ზეკლასობრივი, უპარტიო ფილოსოფია, ნამდვილად არის ცდა შერყვნან მუშათა კლასის შეგნება ყოველგვარი იდეალიზმთა და მისტიციზმით, დაუკარგონ მუშათა კლასს ბრძოლის უნარი და აქციონ იგი ისეთ მასად, რომელიც არაფრად უარს არ იტყვის თავის მონურ მდგომარეობაზე. ლენინმა ცხადჰყო, რომ ყველაზე უფრო რეაქციული ის ფილოსოფია, რომელიც ფარისევლობს და ცდილობს ახალი ტერმინებისა, სიტყვების შემოღებით თავი მოიჩვენოს მატერიალიზმსა და იდეალიზმზე მაღლა მდგომად. ასეთი იყო მახიზმი და მისი მიმდევრები რუსეთში. მახიზმი, როგორც იდეალიზმის სახესხვაობა, წერდა ლენინი, რეაქციის იარაღია, რეაქციის გამტარებელია.

ის მწვავე ფილოსოფიური ბრძოლა, რომელიც ლენინმა და სტალინმა რეაქციის მძიმე წლებში ჩაატარეს, უშუალოდ დაკავშირებული იყო რუსეთის იმპერიზმულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან. როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთში რეაქციის თარეში დაიწყო. სტოლიპინის რეაქციის წლები უძნელესი პერიოდი იყო რევოლუციური მუშაობისათვის. კონტრრევოლუციის შეტევა იდეოლოგიის ფრონტზეც წარმოებდა. განსაკუთრებით მთელი ხროვა მწერლებისა, რომლებიც აშკარად იცავდნენ მისტიციზმს, ქადაგებდნენ დაცცენტლობას და უიმედობას. ყველა ეს წარმოუდგენლად მრავალსახოვანი ლიტერატურული უმსგავსოებანი მიზნად ისახავდნენ საბოლოოდ ჩაეკლათ მასებში რწმენა მომავალი რევოლუციისადმი, გაეხადათ ისინი რეაქციის ყურმოჭრილ მონებად.

დაცვებულობა და რწმენის უქონლობა შეეხო პარტიული ინტელიგენციის ერთ ნაწილსაც, რომელიც მტკიცედ არასოდეს არ მდგარა მარქსიზმის პოზიციებზე. ბოგდანოვმა, ბაზაროვმა, ლუნაჩარსკიმ (რომლებიც 1905 წელს ბოლშევიკებს ემხრობოდნენ), იუშკევიჩმა, ვალენტინოვმა (მენშევიკები) დაიწყეს მარქსიზმის თეორიულ-მეცნიერული საფუძვლების „კრიტიკა“. ლუნაჩარსკიმ იწყო ახალი რელიგიის ქადაგება. მარქსიზმის ეს „კრიტიკა“ მიმდინარეობდა მარქსიზმის „დაცვის“ და „გაუმჯობესების“ ლოზუნგით. ბოგდანოვი, რომელიც ხოტბას ასხამდა მახს და მასთან სასწავლებლად მიდიოდა, თავის თავს მარქსისტს უწოდებდა. მარქსიზმის ასეთი „კრიტიკა“ ყველაზე საშიში იყო, რადგან ის წარმოებდა არა აშკარად და პატიოსნად, არამედ თვალთმაქცურად, შენიღბულად, და ამიტომ შეეძლო შეცდომაში შეეყვანა და მოეტყუებინა რიგითი პარტიული მუშაკები. „მარქსისტების წინაშე იდგა გადაუდებელი ამოცანა — საკადრისი პასუხი გაეცათ ამ გადაგვარებულთათვის მარქსიზმის თეორიის დარგში, ჩამოეგლიჯათ მათთვის ნიღაბი, გამოემჟღავნებინათ ისინი ბოლოდგე და, ამგვარად, დაეცვათ მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლები“ (ი. სტალინი).

მუშათა კლასის ბელადებმა ლენინმა და სტალინმა გამანადგურებელი ბრძოლა გამოუცხადეს მარქსიზმის რევიზიას და შემდგომ განავითარეს მარქსისტული ფილოსოფია.

ამხანაგი სტალინი 1906-1907 წლებში აქცევენებს თავის ფილოსოფიურ ნაშრომს „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, რითაც გამანადგურებელ პასუხს აძლევს მუშათა კლასის ყველა მტერს და ბრწყინვალედ იცავს და ასაბუთებს დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს.

1909 წელს ლენინი აქვეყნებს თავის „მატერიალიზმს და ემპირიოკრიტიციზმს“, რომელიც გაანადგურა იდეალიზმის ახალი სახეობა—მახიზმი და რომელიც თეორიულ საფუძვლად დაედო ახალი ტიპის რევოლუციურ პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას.

* * *

ლენინმა თავის გენიალურ ფილოსოფიურ ნაშრომში გვიჩვენა, რომ შეუძლებელია მარქსიზმის ფილოსოფიის შეერთება სხვა რომელიმე ფილოსოფიურ სისტემასთან, რადგან მარქსიზმის ფილოსოფია თვისობრივად ახალი ფილოსოფიაა, დიალექტიკური მატერიალიზმი მთელი რევოლუციაა, ნახტომია ფილოსოფიის განვითარებაში. მარქსი და ენგელსი თავიდან ბოლომდე პარტიულები იყვნენ ფილოსოფიაში. ისინი თანმიმდევრობით ატარებდნენ და ავითარებდნენ ფილოსოფიაში „მატერიალიზმის პრინციპს. მაგრამ მარქსი და ენგელსი არ ყოფილან უბრალო მატერიალისტები, მათი მატერიალიზმი დიალექტიკური მატერიალიზმია.

ლენინმა ცხადყო, რომ ყოველგვარი გადახვევა დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპიდან არის იდეალიზმი, რომელსაც ემინა პირდაპირ უშიდოს თავის თავს იდეალიზმი. იმისათვის, რომ ცხადყო რეაქციულობა ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის და სხვათა მისწრაფებისა — შეეესოთ მარქსიზმი მახიზმით, ლენინმა უპირველეს ყოვლისა მიზნად დაისახა ეჩვენებინა თვით მახიზმის ბუნება, გამომეძიებინა მახიზმის რეაქციულობა და ცხადყო მისი აშკარა იდეალიზმი.

ლენინმა გვიჩვენა, რომ მახისა და ავენარიუსის მიერ შექმნილი ფილოსოფიური სისტემა ე. წ. ემპირიოკრიტიციზმი სუბიექტური იდეალიზმია, რომელსაც სოლიდარობა გამოუცხადეს იმპერიალისტებმა და ყველა ჯურის ბნელეთის მოციქულებმა. ლენინმა ცხადყო, რომ ემპირიოკრიტიციზმი იდეალიზმისა და მატერიალიზმის ცალმხრივობის დაძლევა კი არ არის, როგორც ამას თვითონ მახისტები ამტკიცებდნენ, არამედ სუბიექტური იდეალიზმია.

მახიზმის მიერ იდეალიზმისა და მატერიალიზმის შერიგების ცდა გამოხატავდა რეაქციული ბურჟუაზიის დაცემის მთელ სიღრმეს. დღესაც რეაქციული ბურჟუაზია და მისი დაქირავებული ფილოსოფოსები ცდილობენ შექმნან ისეთი ფილოსოფიური სისტემა, რომელიც მატერიალიზმსა და იდეალიზმზე მაღლა იდგომება. ყველა ეს დღეანდელი მოდური სახელწოდებები — „პერსონალიზმი“, „ნეორეალიზმი“, „ეგზისტენციალიზმი“ და სხვ. იდეალიზმის ყველაზე უფრო რეაქციული მიმდინარეობებია. თუ რეაქციულ ბურჟუაზიას დღეს სჭირდება იდეალიზმის ფლამაზება, ეს ერთხელ კიდევ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ იდეალიზმმა საბოლოოდ დაკარგა ყოველგვარი ნდობა ნამდვილი მეცნიერების წინაშე. ეკლექტიკური ფილოსოფიის ფართოდ გავრცელება დღეანდელ კაპიტალისტურ სამყაროში ბურჟუაზიის რეაქციულობისა და გახრწნის აშკარა მაჩვენებელია. ლენინის წიგნი, რომელიც ამხილებს ყოველგვარ გადახვევას მარქსიზმისა და მატერიალიზმისაგან, წარმოადგენს გამარჯვების ბასრ იარაღს თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მახისტები, ემპირიოკრიტიკოსები წინააღმდეგ მეცნიერებისა, აცხადებენ, თითქოს არავითარი საგანი თავისთავად არ არსებობს, რადგან ადამიანს უშუალოდ ცდაში ეძლევა არა საგანი, არამედ შეგრძნება. ამ მსჯელობის სიყალბე მაშინვე გამოჩნდება, როგორც კი კონკრეტულად დავაყენებთ საკითხს: არსებობდა თუ არა დედამიწა ადამიანის, ე. ი. შეგრძნები არსების გაჩენამდე? მთელი მეცნიერების განვითარება ამტკიცებს, რომ დედამიწა არსებობდა მაშინ, როცა არავითარი ცნობიერება მასზე არ იყო. მაშასადამე, „მე“-სა და „გარემოს“ შორის განუწყვეტელი კავშირი კი არ ყოფილა, როგორც ამას ემპირიოკრიტიციზმი ამტკიცებს, არამედ „გარემო“ პირველადია, ხოლო „მე“ მეორადი. ლენინმა ბრწყინვალედ დაასაბუთა დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორია და იგი ახალ საფეხურზე აიყვანა.

მატერიალიზმი, აღიარებს რა შეგრძნებებს ცოდნის ერთადერთ წყაროდ, თვით ამ შეგრძნებას განიხილავს როგორც ობიექტური სამყაროს სუბიექტურ სურათს. ვ. ი. ლენინმა მოგვცა შეგრძნების კლასიკური განმარტება: „შეგრძნება არის შედეგი იმ ზემოქმედებისა, რომელსაც ჩვენს გარეშე, ობიექტურად არსებული ნივთი თავისთავად ჩვენი გონებრივი ორგანოებზე ახდენს... შეგრძნება არის ობიექტური ქვეყნიერების... სუბიექტური სახე“.

ის, რაც ჩვენშია, სუბიექტშია, განსხვავდება იმისაგან, რაც ჩვენს გარეშე, ობიექტურად არსებობს, მათი გაიგივება არის იდეალიზმი. ნივთი თავისთავად განსხვავდება ნივთისაგან ჩვენთვის. მაგრამ ეს განსხვავება არ არის უზომო, აბსოლუტური. განსხვავება ნივთს თავისთავადსა და ნივთს ჩვენთვის შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც ცოდნასა და არცოდნას შორის. არცოდნა იქცევა ცოდნად, ნივთი თავისთავად ნივთად ჩვენთვის. ამრიგად როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ შემეცნების პროცესში გადავდივართ მოვლენიდან არსებისაკენ, უფრო ღრმად ვწვდებით სამყაროს საიდუმლოებებს, გადავლახავთ შემეცნების არსებულ საზღვრებს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ გადავდივართ გრძნობადი, მატერიალური სამყაროდან სხვა, არაგრძნობად, „მიატო�sულ სამყაროში. მეცნიერებამ არ შეიძლება გადალახოს მატერიალური ქვეყნის საზღვრები. მეცნიერების მიერ ცოდნის არსებული საზღვრის გადალახვა არ ნიშნავს მატერიალური სამყაროდან გაყვლას, როგორც ამას ყველა ჯურის მისტიკოსები და ბნელეთის მოციქულები ამტკიცებენ. „ბუნებისმეტყველება,—წერდა ლენინი, — **არ სცილდება...** მატერიალური ქვეყნის საზღვრებს“. სამყაროა თავის ბუნებით მატერიალური. მეცნიერება მატერიალური სამყაროს ახალ-ახალ მხარეებს აღმოაჩენს, მეცნიერების ახალ-ახალ აღმოჩენებს კი საზღვარი არა აქვს. უსაზღვროა მეცნიერების განვითარება, ისე როგორც უსაზღვროა თვითონ სამყარო.

მატერიალური სამყარო ერთადერთი რეალობაა, რომლის ეაიბვასაც წარმოადგენს ჩვენი აზროვნება. „ეს რეალობა უკანასკნელი არა იმ აზრით, რომ იგი უკვე შეცნობილი იყო ბოლოდგე, არამედ იმ აზრით, რომ მის გარდა არ არის და არც შეიძლება სხვა რაიმე რეალობა ბუნებაში“ (ვ. ლენინი). რაკიგვარეული, აზრიც, შეგრძნებაც, „მე“-ც არსებობს, მაგრამ შეგრძნება „მე“, აზრი არსებობს მხოლოდ როგორც მატერიის ისახვა, მისი სურათი. „ჩვენი წარმოდგენები, ჩვენი „მე“, — წერდა სტალინი თავის შრომაში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“,—მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც არსებობს გარეშე პირობები, რომლებიც ამ „მე“-ზე შთაბეჭდილებას ახდენენ“.

ამრიგად, არ არსებობს კიდევ სხვა რაიმე სამყარო „გრძნობადი სამყაროს გარეშე“. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ სამყაროა ჩვენი წარმოდგენაა, რომ სამყარო შეგრძნების გარეშე არ არსებობს. პირიქით, დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ სამყარო არსებობს შეგრძნების გარეშე, მისგან დამოუკიდებლად.

* * *

მახისტები ცდილობდნენ მეცხრამეტე საუკუნისა და XX საუკუნის დაასწყისში ბუნებისმეტყველებაში მოხდარი რევოლუცია გამოეყენებინათ იდეალიზმის სასარგებლოდ. რასაკვირველია, მახისტების მიერ ფიზიკის ახალი მიღწევების დამოწმებას არ ჰქონდა არავითარი საფუძველი, რადგან ფიზიკის ყოველი ახალი მიღწევა, როგორც ლენინმა შესანიშნავად დაამტკიცა, მხოლოდ ადასტურებს დიალექტიკური მატერიალიზმის ჭეშმარიტებას. ლენინი სწორედ იმის უსაყვედურებდა პლეხანოვს, რომ ეს უკანასკნელი უგულებელყოფდა მახიზმის კავშირს ფიზიკის ახალ აღმოჩენებთან. ამიტომ შეუძლებელი იყო მახიზმის კრიტიკა ფიზიკის ახალი აღმოჩენების მატერიალისტური განზოგადების გარეშე. იმდროინდელი მეცნიერების ახალი მიღწევების ფილოსოფიური განზოგადება მოახდინა ლენინმა და ამით წინ წასწია მარქსისტული ფილოსოფია, აიყვანა იგი ახალ საფეხურზე. ლენინმა მოგვცა იმდროინდელი ფიზიკის კრიზისის მეცნიერული ანალიზი და გვიჩვენა გამოსავალი იქიდან.

ფიზიკის განვითარებამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მთლიანად შეიცალა ე. წ. კლასიკური ფიზიკის შეხედულებანი და წარმოდგენები მატერიის აღნაგობაზე, მასაზე, მოძრაობაზე, დროსა და სივრცეზე. თუ წინათ მიჩნეული იყო, რომ მატერიის ზოგიერთი თვისებანი აბსოლუტური, უცვლელია (მაგალითად, მასა), შემდეგ აღმოჩნდა, რომ მატერიის ეს თვისებები შედარებითია, რომ ეს თვისებები დამახასიათებელია მატერიის მხოლოდ ზოგიერთი მდგომარეობისათვის. „ახალმა ფიზიკამ, — წერდა ლენინი, — მატერიის ახალი სახეები და მისი მოძრაობის ახალი ფორმები აღმოაჩინა“.

ფიზიკური სამყაროს ძველი სურათის შეცვლა ახალი სურათით კი არ ეწინააღმდეგება დიალექტიკურ მატერიალიზმს, არამედ მთლიანად ადასტურებს მის ჭეშმარიტებას. მახისტებმა ფიზიკის ძველი თეორიების გაჭრობა, მისი შეცვლა ახალი თეორიებით გამოაცხადეს როგორც მატერიის გაჭრობა საერთოდ. ლენინი ვენილალურად შენიშნავს, რომ ფიზიკის განვითარებას მატერიის უარყოფა კი არ გამოუწვევია, არამედ უარყოფილ იქნა მეტაფიზიკური შეხედულება ძველი ფიზიკოსებისა, რომლებიც საგნებს, მოვლენებს განიხილავდნენ არა დიალექტიკური „მატერიალიზმის პოზიციებიდან, არამედ მეტაფიზიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან. ახალმა ფიზიკამ მხოლოდ ძველი მეტაფიზიკური მატერიალიზმის ცალმხრივობა, მისი მეტაფიზიკურობა უარყო და არა მატერიალიზმი. მეცნიერული აზროვნება არასოდეს არ შეიძლება მატერიალიზმის ნიადაგს ასცდეს. ლენინმა დაამტკიცა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი არავითარი უცვლელი საგნებისა და მათი არსების აღიარებასთან არ არის დაკავშირებული. დიალექტიკური მატერიალიზმისთვის „უცვლელია მხოლოდ ერთი რამ: ესაა ასახვა ადამიანის შეგნების მიერ (როცა ეს ადამიანის შეგნება არსებობს) მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური და განვითარების პროცესში მყოფი გარეგანი ქვეყნიერებისა“.

ადამიანის წარმოდგენა მატერიის აღნაგობის შესახებ, მისი კონკრეტული ფორმის შესახებ იცვლება, რადგან მეცნიერების ყოველი ახალი განვითარება ობიექტური სინამდვილის ახალ-ახალ მხარეებს აღმოაჩენს. ამის გამო შეუძლებელია ადამიანის ცნებები, რომლებიც გამოხატავენ ობიექტური სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს, არ იცვლებოდნენ. „ადამიანის გონებამ,—წერდა ლენინი,—ბევრი უცნაურობა აღმოაჩინა ბუნებაში, კიდევ მეტს აღმოაჩენს და ამით გააძლიერებს თავის ბატონობას მასზე, მაგრამ ეს იმას რადი ნიშნავს, რომ ბუნება ჩვენი გონების ან აბსტრაქტული გონების ქმნილება იყოს“.

დიალექტიკური მატერიალიზმისათვის სამყაროს სუბიექტის წარმოდგენაზე უფრო ჩაცა. ფიზიკის თეორიები, რომლებიც მატერიის აღნაგობას შეეხებიან, არ შეიძლება არ იცვლებოდნენ. სამყაროს სურათი, რომელიც ადამიანის აზროვნებაში არსებობს, თანდათან სრულყოფილი და ზუსტი ხდება, ეს სურათი ეოდამ უანლოგდება ობიექტურ სინამდვილეს, ისე რომ აბსოლუტურად არასოდეს არ დაემთხვევა მას. ადამიანის აზროვნებაც დიალექტიკურ პროცესს ექვემდებარება, როგორც დიალექტიკურია თვით მატერიალური სამყარო. მაგრამ ის, ვინც ადამიანური აზრის ცვალებადობაში არ ხედავს ობიექტური სინამდვილის ასახვას, ის უარყოფს ობიექტურ ჭეშმარიტებას, ის უარყოფს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას, მისთვის ჭეშმარიტება მხოლოდ სუბიექტურია. ასე ესმოდათ ჭეშმარიტება მახისტები. ლენინმა მოგვცა ჭეშმარიტების საკითხის ამომწურავი გადაწყვეტა. „მატერიალისტობა, — წერდა ლენინი,—ნიშნავს იმ ობიექტური ჭეშმარიტების აღიარებას, რომელსაც გრძნობის ორგანოები გვიმხელენ. ვინც ობიექტურ, ე. ი. ადამიანისა და კაცობრიობისაგან დამოუკიდებელ ჭეშმარიტებას ცნობს, იგი ასე თუ ისე ცნობს აბსოლუტურ ჭეშმარიტებასაც... შედარებითი ჭეშმარიტებებისაგან შედგება აბსოლუტური ჭეშმარიტება“.

ლენინმა გვიჩვენა პრაქტიკის უდიდესი როლი შემეცნების პროცესში, გენიალურად გააშუქა მატერიის, მოძრაობის, დროისა და სივრცის, მიზეზობრიობის, აუცილებლობისა და თავისუფლების საკითხები.

* * *

თავისი წიგნის მეექვსე თავში ლენინმა გაანადგურა მახისტების სოციოლოგიური შეხედულებანი. ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი და სხვები ცდილობდნენ ისტორიული მატერიალიზმი — მარქსიზმის ეს ისტორიულ-თეორიული საფუძველი — შეეცვალათ მახიზმით. ლენინმა დაიცვა და შემდგომ განავითარა ისტორიული მატერიალიზმის თეორია.

ლენინის მთელი შრომა გამსჭვალულია პარტიულობის პრინციპით. იყო პარტიული მეცნიერებაში — ნიშნავს იბრძოლო ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. პროლეტარიატის საქმისათვის ბრძოლა ნიშნავს ესსახური ობიექტურ ჭეშმარიტებას, ვინაიდან პროლეტარიატის ინტერესები ემთხვევა ისტორიულ-ობიექტურ კანონზომიერებას.

მეცნიერებისა და საზოგადოების ცხოვრების განვითარებამ ამ ორმოცი წლის განმავლობაში მთლიანად დაადასტურა ლენინის წიგნში განვითარებული იდეების სიდიადე და ძალა. სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში და საბჭოთა მეცნიერების არაჩვეულებრივი აყვავება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დიდი ზეგავლენა. მიჩურინელი ბიოლოგიის გამარჯვებამ რეაქციულ იდეალისტურ-მორგანისტულ ბიოლოგიაზე ერთხელ კიდევ დაადასტურა მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის სისწორე და ცხოველმყოფელობა. ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგია მეცნიერების განვითარებისა და ადამიანის მიერ ბუნებაზე ბატონობის უსაზღვრო შესაძლებლობას იძლევიან. იდეალიზმმა ჩიხში მოიმწყვდია კაპიტალისტური სამყარო და მისი მეცნიერების განვითარება, რადგან იდეალიზმი უარყოფს ობიექტური სამყაროს არსებობას. დიალექტიკური მატერიალიზმისათვის სამყარო ილუზია კი არ არის, არამედ ღრმა შინაარსით აღსავსე ობიექტური რეალობაა. ამით დიალექტიკური მატერიალიზმი მეცნიერების განვითარებას წინ უბიძგებს და მისი განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობას იძლევა.

ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ გამოსვლის შემდეგ განვლილ პერიოდში მომხდარი ცვლილებების მატერიალისტურ განზოგადებას და შემდგომ განვითარებას წარმოადგენს ი. ბ. სტალინის ფილოსოფიური ნაშრომი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“. ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და ი. ბ. სტალინის წიგნი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვების მეცნიერული ჩირაღდანია.

კ. აქბარდია

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 24 აპრილისა და 2 ივნისის ბრძანებულებათა შესაბამისად, **სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და თამბაქოს** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარება და კონტრაქტაცია, ნატურანაზღაურება მტსოდის 1948 წლის მუშაობისათვის და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნნ:**

შრომის წითელი დროშის ორდენით

98. **ინაშვილი** ივლიტე მიხეილის ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ წევრი, რომელმაც თავი ისახელა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 6,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 32,7 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

99. **ისმაილოვი** ბაირამ ჰასან ოღლი—მარნეულის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 22 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

100. **კაველაშვილი** ზაქარია სტეფანეს-ძე—ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი ისახელა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 38,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

